



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010179536712317

29 / დეკემბერი / 2017 წ.  
№ 1329/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის ( ნაძვის I; II; III; IV ხარისხის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 30.790 - მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N443) (3) განმეორებით გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 04 აგვისტოს დასკვნის N5004392017, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის 2017 წლის 05 დეკემბრის N1191/ს ბრძანების, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 დეკემბრის N13/29787 სამსახურებრივი ბარათის და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის N26304/07, 19 დეკემბრის N30407/07 და 28 დეკემბრის N31452/07 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N443 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ მესტიის სატყეო უბნის, ლატალის სამცველო N52 კვარტალში ,(ლიტერი 2) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 30.790 მ<sup>3</sup> წიწვოვანი სახეობის (ნაძვი I; II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი